სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**საერთაშორისო ურთიერთობები** International Relations
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი** Bachelor of International Relations
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**240 კრედიტი ECTS**, მათ შორის: ➢ **საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS):** - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი; - სამი საფაკულტეტო შესავალი კურსი - 15 კრედიტი; - ორი საფაკულტეტო არჩევითი კურსი - 10 კრედიტი. ➢ **ძირითადი სპეციალობის** (major) **სასწავლო კურსები - 125 კრედიტი (ECTS):** - სავალდებულო სასწავლო კურსები - 95 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი; - არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი ➢ **თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS)** ➢ **დამატებითი (minor) სპეციალობის ან სხვა სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (ECTS)**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ /კოორდინატორი	**ზურაბ დავითაშვილი,** პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	➢ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ➢ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო

[1] [1] პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად.

	პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; ➢ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანია სტუდენტმა:** • შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ; • შეიძინოს ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში; • შეისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული უახლესი მიმდინარეობები; • მიიღოს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, გლობალური და რეგიონალური პროცესების შესახებ; • მოახდინოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ძირეული პრობლემების გააზრება და განზოგადება. ასევე ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება; • მიიღოს საფუძვლიანი დარგობრივი ცოდნა, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს; • შეისწავლოს ინგლისური და მეორე უცხოური ენა; • შეიძინოს საბაკალავრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი და ანალიტიკური უნარ–ჩვევები, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

სწავლის შედეგები	**საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** *(რომელსაც აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო თეორიული და დარგობრივი ცოდნა; შეძენილ თეორიულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში, საჭირო რესურსებით მოიპოვებს ინფორმაციას, აანალიზებს და შემოქმედებითად უდგება საკითხს; ზედამხედველობის ქვეშ წარმართავს ხარისხიან კვლევას, რისი მეშვეობითაც წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას)* **ცოდნა და გაცნობიერება** • ჩამოთვლის და განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ცნებებს და თეორიებს; • დეტალურად აღწერს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევების სფეროების ძირითადი საფუძვლებს; • ასახელებს და განმარტავს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების პროცესზე და ინსტიტუტებზე; • შეძენილი ცოდნის საფუძველზე აღწერს სახელმწიფოს პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში და განმარტავს გლობალიზაციის, რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის როლს მნიშვნელობას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. **უნარი** • არჩევს და იყენებს სათანადო მეთოდებს მცირე მაშტაბიანი პროექტების დაგეგმვის და განხორციელების მიზნით; • აკვირდება და აფასებს საერთაშორისო პროცესში წარმოქნილ სიტუაციასა და ვითარებას; • მოიპოვებს და აანალიზებს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციას, შემდგომ ახდენს სინთეზს; • შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის გამოყენებით, აგროვებს, აორგანიზებს და ხსნის ძირითად პრობლემებს; • გარკვეული რჩევების საფუძველზე შეიმუშავებს პოზიციას და აყალიბებს საკუთარ არგუმენტირებულ თვალსაზრისს; • აყალიბებს იდეებს, მათი გადაჭრის გზებს წერილობითი ანგარიშის ფორმით და წარადგენს დარგის სპეციალისტების წინაშე მშობლიურ ან უცხოურ (პირველ რიგში ინგლისურ) ენაზე.

	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომებს; • ასახელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს; • გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი:** ლექციები, პრაქტიკული სამუშაო ჯგუფები, პრეზენტაციები, ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ელექტორნული სწავლების [2], პრაქტიკული მეთოდები და სხვა. **სალექციო მეცადინეობის** დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, შესაბამისად, სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება. **პრაქტიკული მეცადინეობისა და სამუშაო ჯგუფის** დანიშნულებაა სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. **თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია** განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

[2] ელექტრონული სწავლება https://bit.ly/3z1JWTG

	შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები** *(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[3] მიხედვით):* **საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით** (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი

[3] საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

	მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“**, შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“**, შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. **საერთაშორისო ურთიერთობების** საბაკალავრო პროგრამის დაცვის წესში, არაა გათვალისწინებული ნაშრომის ხელმძღვანელის სტატუსი. ამდენად, ამ პროგრამაზე საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 2 წევრი, წინასწარშემფასებელი და რეცენზენტი. • **წინასწარშემფასებელი - 60 ქულა** • **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა** ნაშრომის საბოლოო შეფასება (წინასწარშემფასებელისა და რეცენზენტის), მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა. **შეფასების კრიტერიუმები:** **წინასწარშემფასებელი** - მაქსიმალური ქულა – 60, მინიმალური ქულა - 30 ***ა) შინაარსობრივი მხარე - 40 ქულა:*** • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი; • კვლევის მეთოდოლოგია; • არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; ***ბ) ფორმალური მხარე - 20 ქულა:*** • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. **რეცენზენტის შეფასება** - მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური ქულა - 21 ***ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:***

	• საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; *ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:* • პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი *გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. **შენიშვნა:** საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/დაცვის გარეშე შეფასების გრაფიკს საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
დასაქმების სფეროები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებში; ანალიტიკურ და სტრატეგიული კვლევის ცენტრებში; მასობრივი მედიის საშუალებებში; დიპლომატიურ სამსახურებში საკუთარი კომპენტეციის ფარგლებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, უმაღლესი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://www.tsu.ge/ **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:**

	• თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ~ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ I, II, III, IV და VI კორპუსებში, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე #1, 3, 11ა, 6 და 14 ნომრებში. ამავე კორპუსებშია განთავსებული პროგრამის სტუდენტებისთვის საჭირო კომპიუტერული კლასები/რესურს ცენტრები, საბიბლიოთეკო ფონდები.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს

	მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი; იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, მის პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, აკადემიური პერსონალის რაოდენობის და ბაზარზე შესაბამისი სპეციალობის კურსდამთავრებულთა საჭიროების გათვალისწინებით, **პროგრამას შეუძლია ყოველ წლიურად** 60-დან 100 სტუდენტამდე მიიღოს და მოემსახუროს სრულფასოვნად. **საბაკალავრო ნაშრომების სავარაუდო თემატიკა** ბაკალავრიატის დონეზე საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელების დახმარებით, შესაძლოა იკვლიონ შემდეგი თემატიკა - საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, ევროპათმცოდნეობა, საერთაშორისო უსაფრთხოება და რეგიონული კვლევები და საგარეო პოლიტიკა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობების

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021(დანართი № 41)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №45163; 29/12/2021 – 31/12/2028

https://eqe.ge/ka/deqars/455/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[4] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №61/2022 - 26/07/2022; №95/2022 -07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024; №131/2024 – 28/11/2024.

[4] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები - 45 კრედიტი (ECTS) მათ შორის:													
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)													
N	**კოდი**	**სასწავლო კურსის სახელწოდება**	**ECTS**	**სტუდენტის საათობრივი დატვირთვა**						**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი / ლექტორები**
				საკონტაქტო			**დამოუკიდებელი**		**სულ**		**შემოდგომის**	**გაზაფხულის**	
				ლექცია	**სემინარი/სამუშაო ჯგუფი**	**პრაქტიკუმი/ ლაბორატორიული**	**გამოცდის დრო**						
1		სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები[5]	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი ნათელა დონაძე თამარ ქარაია მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი

[5] სასწავლო კურსის არჩევა ხდება მე-2 სემესტრიდან.

2		ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	0	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3		აკადემიური წერა	5	30	15	0	3	77	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ალექსანდრა სულაძე დავით მაცაბერიძე
4		ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	**5**	30	30	0	5	60	125	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები - მინიმუმ 10 კრედიტი (ECTS)													
1		გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა ზურა გამთენაძე
2		კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში მარეხ დევიძე მირანდა მიქაძე
3		ლოგიკა	5	30	0	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მამია სურმავა
4		ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	15	15	5	90	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კონსტანტინე შუბითიძე
5		მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
6		ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი გიორგი გრიგოლაშვილი
7		საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან მელიქიძე
8		მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია	5	30	15	0	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ჯაბა უროტაძე
9		გამოყენებითი გეოინფორმაციული სისტემები	5	15	30	0	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ვლადიმერ ჩხაიძე დავით სვანაძე

10		საქართველო მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	0	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ გაჩეჩილაძე ტატიანა სიჭინავა
11		სტატისტიკა	5	30	30	0	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები - 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა. საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი სავალდებულოა და წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების მაპროფილებელ სასწავლო კურიკულუმში)													
1		სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	0	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნათელა ფარცხალაძე ზურაბ ტატანაშვილი გიორგი წოწკოლაური მაგული შაღაშვილი სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი
2		საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	0	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იოსებ სალუქვაძე თამარ დოლბაია გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე
3		პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	0	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ვლადიმერ ნაფეტვარიძე

													სანდრო ტაბატაძე
4		სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	0	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ამირან ბერძენიშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი
5		ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	0	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების მაპროფილებელი სასწავლო კურიკულუმი (125 კრედიტი): საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო სასწავლო კურსები – 95 კრედიტი (ECTS) საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი (ECTS) საერთაშორისო ურთიერთობების არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი (ECTS)													
საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო სასწავლო კურსები – 95 კრედიტი (ECTS)													
1		საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	0	9	71	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზურაბ დავითაშვილი კონსტანტინე შუბითიძე გიორგი კეკელიანი
2		საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	5	15	15	0	6	74	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი		✓	კონსტანტინე შუბითიძე
3		დარგობრივი ინგლისური ენა 1	3	15	45	0	5	10	75	ინგლისური ენა 2	✓		იუჯინ სლონიმეროვი თამთა ლომთაძე სალომე ხვედელიძე ქეთევან ჩოქური შოთა კაკაბაძე

4		დარგობრივი ინგლისური ენა 2	3	15	45	0	5	10	75	დარგობრივი ინგლისური ენა 1		✓	ნინო ტაბეშაძე იუჯინ სლონიმეროვი
5		ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები *(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმიდან)*	5	30	15	0	7	73	125	წინაპირობის გარეშე		✓	თეიმურაზ პაპასქირი
6		ეკონომიკის პრინციპები	5	30	15	0	4	76	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	✓	✓	ემირ ეთირია
7		შესავალი ევროპათმცოდნეობაში	5	15	15	0	4	91	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	ნიკოლოზ სამხარაძე დიანა ენდელაძე გიორგი ჩაფიძე
8		ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	5	30	30	0	5	60	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	✓	✓	ზურაბ დავითაშვილი
9		საერთაშორისო სამართალი	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	ქეთევან ხუციშვილი
10		კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	15	30	0	6	74	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓	✓	მარიამ პაპოშვილი დავით მაცაბერიძე კონსტანტინე შუბითიძე
11		საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი წყაროები	5	30	15	0	6	74	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	ქეთევან მუხიგული
12		დარგობრივი ინგლისური ენა 3	3	15	45	0	5	10	75	დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		თამარ ურუშაძე ალექს იასაშვილი თამთა ლომთაძე სალომე ხვედელიძე ქეთევან ჩოქური შოთა კაკაბაძე
13		დარგობრივი ინგლისური ენა 4	3	15	45	0	5	10	75	დარგობრივი ინგლისური ენა 3		✓	თამარ ურუშაძე ალექს იასაშვილი

													იუჯინ სლონიმეროვი
14		საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	5	30	15	0	5	75	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	✓	✓	ეკა აკობია გვანცა აბდალაძე
15		მეორე უცხო ენა 1	3	15	45	0	5	10	75	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
16		მეორე უცხო ენა 2	3	15	45	0	5	10	75	მეორე უცხო ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაოგი
17		მეორე უცხო ენა 3	3	15	45	0	5	10	75	მეორე უცხო ენა 2	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
18		მეორე უცხო ენა 4	3	15	45	0	5	10	75	მეორე უცხო ენა 3		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
19		საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓	✓	ემირ ეთირია
20		პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა	5	15	15	0	0	95	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓	✓	მამუკა კომახია
21		დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	გიგი გიგიაძე
22		საბაკალავრო სემინარი	6	30	15	**0**	**3**	102	150	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის გავლა		✓	კონსტანტინე შუბითიძე
საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი (ECTS)													
23		საბაკალავრო ნაშრომი	10	30				220	250	მინიმუმ 200 კრედიტი	✓	✓	პროგრამის განმახორციელებელი

													აკადემიური და მოწვეული პერსონალი
საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის არჩევითი[6] კურსები - 20 კრედიტი (ECTS) სტუდენტი ირჩევს მინიმუმ სამ სასწავლო კურსს ქვემოთ წარმოდგენილი სასწავლო კურსებიდან													
საერთაშორისო ურთიერერთობების პოლიტიკური ეკონომიკა													
1		საერთაშორისო ეკონომიკა	5	15	15	0	5	90	125	ეკონომიკის პრინციპები	✓		ემირ ეთირია
2		გლობალური ჯანდაცვა და საერთაშორისო ურთიერთობები	5	15	15	0	4	91	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები		✓	თენგიზ ვერულავა
ევროპათმცოდნეობა													
1		ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	5	30	15	0	6	74	125	შესავალი ევროპათმცოდნეობაში; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	ნიკოლოზ სამხარაძე
2		ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა	5	30	15	0	6	74	125	შესავალი ევროპათმცოდნეობაში	✓		ნიკოლოზ სამხარაძე
3		ევროპული ინტეგრაციის ისტორია და ევროკავშირის ინსტიტუტები	5	15	15	0	4	91	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; შესავალი ევროპათმცოდნეობაში; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		დიანა ენდელაძე
4		საერთაშორისო ორგანიზაციები	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	ირაკლი სირბილაძე

[6] სტუდენტი თავისუფალია არჩევითი კურსების შერჩევისას.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო პოლიტიკა და უსაფრთხოება													
1		საერთაშორისო უსაფრთხოება	5	30	15	0	6	74	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		თორნიკე თურმანიძე
2		საერთაშორისო ტერორიზმი	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		გიორგი გოგუაძე
3		მეოცე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობები	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები		✓	ფიქრია ასანიშვილი
4		ნაციონალიზმის თეორია და ისტორია	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	✓		დავით მაცაბერიძე
5		საერთაშორისო კონფლიქტები: ქეისები	5	30	15	0	6	74	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		ნიკოლოზ სამხარაძე
6		ომების თეორია და ისტორია	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		გიორგი ლეკვეიშვილი
7		მოლაპარაკებები და მედიაცია	5	15	15	0	4	91	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	ტარიელ სიხარულიძე

8		საინფორმაციო ომები, პროპაგანდა და ეროვნული უსაფრთხოება	5	30	15	0	6	74	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	ჟანა სირბილაძე
9		ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე გამოწვევები	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	ანი ჩიტალაძე
10		რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	✓		გვანცა აბდალაძე
რეგიონალისტიკა და საგარეო პოლიტიკა													
1		საგარეო პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი		✓	დავით მაცაბერიძე
2		საქართველოს საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	გიორგი ბადრიძე
3		ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	თორნიკე თურმანიძე
4		ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 2გა	✓		გიორგი ბადრიძე

5		რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		გიორგი ბილანიშვილი
6		გერმანიის საგარეო პოლიტიკა	5	30	15	0	6	74	125	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი; დარგობრივი ინგლისური ენა 4		✓	ნიკოლოზ სამხარაძე
7		თურქეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		ზაურ მჭედლიშვილი
8		განვითარებადი სამყაროს საერთაშორისო ურთიერთობები	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2		✓	ზურაბ დავითაშვილი
9		ისლამური სამყაროს პოლიტიკა	5	15	30	0	6	74	125	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		ფიქრია ასანიშვილი
10		რეგიონალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	15	15	0	6	89	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		ანა ჩიტალაძე
11		სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკა	5	15	15	0	5	90	125	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია;		✓	დავით მაცაბერიძე

										დარგობრივი ინგლისური ენა 2			
12		ჩინეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	0	5	90	125	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; დარგობრივი ინგლისური ენა 2	✓		შალვა ჩიხლაძე
თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS													

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

საბაკალავრო ნაშრომების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების დროს, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. თემის სტრუქტურული და ტექნიკური გამართულობა – 20 ქულა
2. თემის აკადემიური გამართულობა – 30 ქულა
3. თემის შინაარსობრივი გამართულობა – 50 ქულა

1. თემის სტრუქტურული და ტექნიკური გამართულობა (20 ქულა):

ა) გამსწორებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს თემის სტრუქტურულ გამართულობას, რაც გულისხმობს იმას, რომ ნაშრომი უნდა შედგებოდეს შესავალისგან, დასკვნისგან და ძირითადი ნაწილისგან, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილი უნდა იყოს მინიმუმ ორ თავად. მნიშვნელოვანია, რომ ავტორს გაკეთებული ჰქონდეს ლიტერატურის მიმოხილვა და ხსნიდეს კვლევის რა მეთოდს იყენებს ნაშრომში.

ბ) ტექნიკური გამართულობა გულისხმობს, პირველ რიგში, ნაშრომის მიერ საბაკალავრო ნაშრომისათვის აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. აუცილებელი კრიტერიუმები არის შემდეგი:

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე - უნიკოდი (Sylfaen - სილფაენი);
- შრიფტის ზომა - 12;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
- ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან – 1სმ, ზემოდან 2.5 სმ., ქვემოდან 2.5 სმ.;
- ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 35 გვერდისა, არაუმეტეს 55 გვერდისა. ამ რაოდენობაში არ შედის სქოლიოები, ბიბლიოგრაფიული ნუსხა და გამოტოვებები (ე.წ. „პრაბელები“).
- გამოყენებული ლიტერატურის მინიმალური მოთხოვნები: 10 წიგნი, 10 აკადემიური რეფერირებადი ჟურნალი, 10 ინტერნეტ წყარო.
- გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები: გამოყენებული ლიტერატურა ნაშრომში გამოიყენება APA სტილით.

2. თემის აკადემიური გამართულობა (30 ქულა):

გამსწორებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რამდენად აქვს სტუდენტს განვითარებული სამუშაო ჰიპოთეზა, ან რამდენად ახდენს სტუდენტი რომელიმე სხვა ავტორის ჰიპოთეზის ტესტირებას. სტუდენტი უნდა გამოჰყოფდეს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს. სასურველია, რომ ამ ცვლადებში ცალკე იყოს გამოყოფილი ამხსნელი ცვლადი. სტუდენტი აუცილებლად უნდა იყენებდეს საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე თეორიას, ან რომელიმე ავტორის ჰიპოთეზას.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში იყოს რამე სიახლე (ან ახალი ჰიპოთეზის განვითარება, ან სხვისი ჰიპოთეზის ახალ რეალობაზე ტესტირება და ა.შ.).

ყურადღება:

სტუდენტმა შეიძლება მიიღოს არადამაკმაყოფილებელი შეფასება, თუ:

ა) ნაშრომი არის პლაგიატიზმი და ეს პლაგიატიზმი არის დამტკიცებადი;

ბ) ნაშრომი არ შედგება ისეთი აკადემიური კომპონენტებისგან, როგორიცაა (1) საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა და (2) თეორია (სხვისი ჰიპოთეზა).

3. თემის შინაარსობრივი გამართულობა (50 ქულა)

საბაკალავრო ნაშრომი, ბუნებრივია, უნდა იყოს შინაარსობრივად გამართული. მასში უნდა იყოს აგებული ლოგიკური ჯაჭვი. არგუმენტები უნდა იყოს დასაბუთებული. ჰიპოთეზა უნდა მტკიცდებოდეს, ხოლო დამოკიდებულ ცვლადს (რასაც იკვლევს ავტორი) და დამოუკიდებელ ცვლადებს (ის ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დამოკიდებული ცვლადის ცვლილებაზე) შორის უნდა მტკიცდებოდეს კავშირი.

ამასთან, ნაშრომიდან უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტი ფლობს იმ საკითხს, რასაც იკვლევს და რომ ის გაეცნო საკითხის ირგვლივ არსებულ ძირითად ლიტერატურას.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თითოეული სტუდენტისთვის ლექტორმა უნდა შეავსოს შემდეგი ფორმულარი:

საერთაშორისო ურთიერთობები **---- (წელი)**

სტუდენტის ფორმულარი

სტუდენტის სახელი და გვარი:

საბაკალავრო ნაშრომის სახელწოდება:

შეფასება კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	**ლექტორის მიერ მიცემული შეფასება**
სტრუქტურული და ტექნიკური გამართულობა (მაქს. 20 ქულა)	
აკადემიური გამართულობა (მაქს. 30 ქულა)	
შინაარსობრივი გამართულობა (მაქს. 50 ქულა)	
შეფასება (100 ქულიან შკალაზე):	

კომენტარი (სავალდებულოა გამსწორებლისთვის):